ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №503065

ნომერი: AR1101973

თარიღი : 09.01.2013

გაცემის თარიღი : 14.01.2013

გაცნობის თარიღი : 17.01.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , კინოსტუდიის ღობის მოპირდაპირე მხარეს;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარინე ლეთოდიანი პ/ნ 62001014529
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 59 ბ. 25

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით წინა ფასადზე სარეკლამო აბრის მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრის მხატვრულ ვიზუალური ელფერის მეტად დახვეწილი, სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე განთავსდეს მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოები. რაც შეეხება გვერდით ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსებას, სამსახურს მისაღებად მიაჩნია მისი განხორციელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული ფოტომონტაჟი მასალისა და ყველა გაბარიტული ზომის მითითებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.